**დამტკიცებულია:**

29/09/2023 წელი, გამგეობის სხდომის ოქმი #07.

## პროფესიით დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის კომიტეტის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა

წინამდებარე სამოქმედო გეგმა შედგენილია კომიტეტის დებულებით განსაზღვრული მიზნებიდან გამომდინარე. იმის გათვალისწინებით, რომ კომიტეტი შეიქმნა მიმდინარე წელს, საქმიანობის ასპექტები, სრულად, ჩამოყალიბებულია 2023 წლისთვის, იმ დაშვებით, რომ შესაძლებელია სამოქმედო გეგმის განახლება 2024 წლის დასაწყისში.

| | დაგეგმილი ღონისძიება | ღონისძიებაზე პასუხისმგებელი | ღონისძიების განხორციელებაში მხარდაჭერა | შესრულების პერიოდი |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზედამხედველობის სამსახურსა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან საკანონმდებლო ცვლილებებზე მომუშავე ჯგუფის კანდიდატურების შერჩევა და გამგეობისთვის შეთავაზება | კომიტეტი | ბაფის გამგეობა | მარტი, 2023 წელი |
| 2 | პროფესიის მარეგულირებელ ნორმებში ცვლილების პროექტებზე ბაფის გამგეობაზე მიღებული გადაწყვეტილებების ლობირება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურსა და საკანონმდებლო სტრუქტურებში | კომიტეტი | საკანონმდებლო ცვლილებებზე მომუშავე ჯგუფი; ბაფის გამგეობა | მუდმივად, ცვლილებების პროექტების შესაბამისად |
| 3 | ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) რეგიონალურ წარმომადგენელთან შეხვედრის ორგანიზება, ბაფის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმისა (SMO) და თანამშრომლობის სხვადასხვა ასპექტებზე | კომიტეტი | ბაფის აღმასრულებელი სტრუქტურა | ივნისი, 2023 წელი |
| 4 | ბუღალტერთა პროფესიული გაერთიანებების (ბუღალტერთა კლუბი-ფორუმი, ბუღალტერთა კავშირი) წარმომადგენლებთან შეხვედრების დაგეგმვა, მემორანდუმის პროექტების მომზადება და თანამშრომლობის შეთავაზება, თანამშრომლობის შემდგომი ნაბიჯების დასაგეგმად | კომიტეტი | ბაფის გამგეობა, აღმასრულებელი სტრუქტურა | მარტი-ივნისი 2023 წელი |
| 5 | ბიზნესის მდგრადი განვითარებისთვის პროფესიის მხარდაჭერის ფარგლებში: | კომიტეტი | ბაფის გამგეობა, აღმასრულებელი სტრუქტურა | მაისი-ივლისი 2023 წელიი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ბიზნესასოციაციებთან შეხვედრების ორგანიზება და თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება | | | |
| 6 | ბუღალტრული აღრიცხვის ბენეფიციართა ფონდთან მემორანდუმის გაფორმება | კომიტეტი | ბაფის გამგეობა, | მაისი-ივნისი 2023 წელი |
| 7 | ბიზნესის და პროფესიის გამაერთიანებელი ძირითადი პლატფორმის „კვალიფიციური ბუღალტრების ერთიანი რეესტრი ბიზნესისათვის" შექმნის ფარგლებში:<br><br>ა) მცირე და საშუალო ბიზნესის გამოწვევების შესაბამისად, ბუღალტერთა ერთიანი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სერტიფიცირების კონცეფციის პროექტის მომზადებაში მონაწილეობა<br><br>ბ) კონცეფციის პროექტის შესახებ ინფორმირებისა და შემდგომი თანამშრომლობის მიზნით შეხვედრების ორგანიზება:<br><br>- პროფესიულ ორგანიზაციებთან<br>- ბიზნესასოციაციებთან<br>- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოსთან<br>- ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელობასთან<br><br>გ) კონცეფციის მიდგომებისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ პროფესიის წარმომადგენელთა ფართო წრის ინფორმირების მიზნით<br><br>- სტატიების, პუბლიკაციების გამოქვეყნება ბაფის ვებგვერდზე, პროფესიულ ჟურნალებში;<br>- საინფორმაციო არხებით გაშუქება<br><br>დ) კვალიფიციურ ბუღალტერთა ერთიანი რეესტრის შექმნისა და საიტის „Bugaltrebi.ge" განვითარებაზე ბუღალტერული რეფორმის ბენეფიციართა ფონდთან თანამშრომლობა | კომიტეტი | ბაფის აღმასრულებელი სტრუქტურა, განათლების კომიტეტი | მაისი-ივლისი 2023 წელი<br><br>აგვისტო-დეკემბერი 2023 წელი<br><br>2023 წლის ივნისი-2024 წლის დეკემბერი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 8 | ფინანსთა სამინისტროს, შემოსავლების სამსახურსა და სსიპ საპენსიო სააგენტოსთან თანამშრომლობის გააქტიურების ფარგლებში:<br><br>- უწყებების წარმომადგენლებთან წინასწარი კომუნიკაცია თანამშრომლობის ასპექტების შესახებ და ცალკეულ სტრუქტურასთან თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება | კომიტეტი | ბაფის გამგეობა, აღმასრულებელი სტრუქტურა | ივლისი-სექტემბერი 2023 წელი |
| 9 | ბაფის სერტიფიცირების პროგრამების, მნიშვნელოვანი ღონისძიებებისა და პროექტების შესახებ პროფესიით დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირებულობა (შეხვედრების, საჯარო ლექციების, სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა და ორგანიზება) | კომიტეტი | ბაფის აღმასრულებელი სტრუქტურა | პერიოდულად |
| 10 | ბაფის პარტნიორ, ადგილობრივ და საერთაშორისო, ორგანიზაციებთან თანამშრომლობა | კომიტეტი | ბაფის გამგეობა, აღმასრულებელი სტრუქტურა | მუდმივად |
| 11 | პროფესიასთან დაკავშირებულ თემებზე, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა | კომიტეტი | ბაფის გამგეობა, აღმასრულებელი სტრუქტურა | პერიოდულად |
| 12 | კომიტეტის სტრატეგიული გეგმის მომზადება | კომიტეტი | ბაფის გამგეობა, აღმასრულებელი სტრუქტურა | 2024 წლის თებერვალი |